ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 17-54

"12" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი გადასახადის - ქონების და მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და 93-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის", „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-25 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ოლიმპიური სოფლის მშენებლობის და ოლიმპიადის ორგანიზების მიზნით, საქართველოს მთავრობას, ქ. თბილისის მერიას და სს „HUALING INTERNATIONAL SPECIAL ECONOMIC ZONE", სს "RUILONG INDUSTRIAL INVESTMENT" და სს „ფანდ ინვესთმენთს" შორის მიწის ნასყიდობის და ინვესტირების შესახებ" 2012 წლის 30 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებულ ქონებაზე, ინვესტორი იხდის ქონების გადასახადს შემდეგი სახით:

ა) ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან მე-6 წელს ინვესტორი იხდის ქონების გადასახადის 0,2%-ს;

ბ) ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან მე-7 წელს ინვესტორი იხდის ქონების გადასახადის 0,3%-ს;

გ) ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან მე-8, მე-9 და მე-10 წელს ინვესტორი იხდის ქონების გადასახადის 0,4%-ს;

დ) ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან 10 წლის შემდეგ ინვესტორი იხდის ქონების გადასახადის 1,0%-ს.

2. „ოლიმპიური სოფლის მშენებლობის და ოლიმპიადის ორგანიზების მიზნით, საქართველოს მთავრობას, ქ. თბილისის მერიას და სს „HUALING INTERNATIONAL SPECIAL ECONOMIC ZONE", სს "RUILONG INDUSTRIAL INVESTMENT" და სს „ფანდ ინვესთმენთს" შორის მიწის ნასყიდობის და ინვესტირების შესახებ" 2012 წლის 30 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ინვესტორი იხდის მიწაზე ქონების გადასახადს შემდეგი სახით:

ა) ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან მე-6 წელს, ინვესტორი იხდის მიწაზე ქონების გადასახადს იმ დროისთვის არსებული შესაბამისი გადასახადის 20%-ის ოდენობით;

ბ) ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან მე-7 წელს, ინვესტორი იხდის მიწაზე ქონების გადასახადს იმ დროისთვის არსებული შესაბამისი გადასახადის 30%-ის ოდენობით;

გ) ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან მე-8, მე-9 და მე-10 წელს ინვესტორი იხდის მიწაზე ქონების გადასახადს იმ დროისთვის არსებული შესაბამისი გადასახადის 40%-ის ოდენობით;

დ) ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან 10 წლის შემდეგ, ინვესტორი იხდის იმ დროისთვის არსებულ მიწაზე ქონების გადასახადზე შედარებით დაბალ ტარიფს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი გადასახადის - ქონების და მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის №7-26 გადაწყვეტილება.

4. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი გადასახადის - ქონების და მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთის დადგენის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი:

„ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი გადასახადის - ქონების და მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის №7-26 გადაწყვეტილება გამოცემულია „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ კანონის საფუძველზე. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი. ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 56-ე პუნქტის თანახმად, „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადის განსხვავებული განაკვეთი შემოიღოს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ნაწილში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან (2014 წლის 3 ივნისიდან) ძალადაკარგულად გამოცხადდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. კოდექსის 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან - 2014 წლის 3 ივნისიდან 6 თვის ვადაში, 2015 წლის 3 იანვრამდე უნდა უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ.) პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ნაწილში ადგილობრივი თვითმმართველობის

წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ადგილობრივი გადასახადის განსხვავებული განაკვეთის შემოღება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.

დადგინდეს თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესები და საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან" შესაბამისობაში მოყვანილი იქნეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან (2014 წლის 3 ივნისიდან) ძალადაკარგულად გამოცხადდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონი და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. კოდექსის 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან - 2014 წლის 3 ივნისიდან 6 თვის ვადაში, 2015 წლის 3 იანვრამდე უნდა უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან" შესაბამისობაში მოყვანა.

„ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი გადასახადის - ქონების და მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის №7-26 გადაწყვეტილება გამოცემულია „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" კანონის საფუძველზე. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი. ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 56-ე პუნქტის თანახმად, „ ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ " საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადის განსხვავებული განაკვეთი შემოიღოს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ნაწილში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ერთეულის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტი კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

პროექტის მიღება არ წარმოშობს მუნიციპალიტეტის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

პროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

პროექტით არ ხდება მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღება.

გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

პროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

პროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

დ.ბ) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო.

დ.გ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.